




ინფორმაციის თავისუფლების  
განვითარების ინსტიტუტი

საქართველო კანონის უზენაესობის 2020 წლის ინდექსში



მთავრობის ძალაუფლების  
შეზღუდვა



კორუფციის  
არარსებობა



ღია მმართველობა



ფუნდამენტური  
უფლებები



წესრიგი და  
უსაფრთხოება



სარეგულაციო  
აღსრულება



სამოქალაქო  
მართლმსაჯულება



სისხლის სამართლის  
მართლმსაჯულება

## სარჩევი

ძირითადი მიგნებები.....	3
შესავალი.....	4
კანონის უზენაესობის ინდექსის მეთოდოლოგია.....	5
საქართველო კანონის უზენაესობის 2020 წლის ინდექსში.....	7
წესრიგი და უსაფრთხოება.....	8
კორუფციის არარსებობა.....	10
ფუნდამენტური უფლებების დაცვა.....	11
ღია მმართველობა .....	13
სარეგულაციო აღსრულება .....	15
მთავრობის ძალაუფლების შეზღუდვა.....	16
სამოქალაქო მართლმსაჯულება .....	18
სისხლის სამართლის მართლმსაჯულება.....	20
დასკვნა .....	21

## ძირითადი მიგნებები

- 2020 წლის კანონის უზენაესობის გლობალური ინდექსის თანახმად, საქართველოში კანონის უზენაესობის მდგომარეობა 0,60 ქულით არის შეფასებული (მაქსიმალური 1 ქულა). საქართველო 42-ე ადგილს იკავებს შეფასებულ 128 ქვეყანას შორის. მოცემული მაჩვენებლებით საქართველოს პოზიცია წინა წელთან შედარებით 0,01 ქულითა და 1 პოზიციით გაუარესდა.
- კანონის უზენაესობის ინდექსით შეფასებულ კრიტერიუმთა შორის საქართველომ ყველაზე მაღალი შეფასება წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის კომპონენტში მიიღო.
- ყველაზე დაბალი შეფასება საქართველოს სამოქალაქო და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების კრიტერიუმებში აქვს. ამასთან, მიუხედავად კორუფციის არარსებობის ინდიკატორის მაღალი შეფასებისა, წინა წლებთან შედარებით, ამ მიმართულებით მდგომარეობა მკვეთრად გაუარესებულია.
- საქართველომ წინა წლებთან შედარებით წესრიგისა და უსაფრთხოების, სარეგულაციო აღსრულებისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მიმართულებების გარდა, ყველა კრიტერიუმში დაბალი შეფასებები მიიღო. სამწუხაროდ, 8 კრიტერიუმიდან არც ერთი მიმართულებით მდგომარეობა გაუმჯობესებული არ არის. წესრიგისა და უსაფრთხოების, სარეგულაციო აღსრულებისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების კრიტერიუმებში საქართველომ მეტ-ნაკლებად სტაბილურად შეინარჩუნა წინა წლებში მიღებული შეფასებები.
- წესრიგისა და უსაფრთხოების კრიტერიუმის გლობალურ რეიტინგში საქართველოს პოზიციამ წინა წელთან შედარებით 5 ადგილით წინ გადმოინაცვლა. რეგიონულ რეიტინგში საქართველო მე-6 ადგილს იკავებს 14 ქვეყანას შორის. 2017-2018 წლებთან შედარებით, საქართველოს პოზიცია გლობალურ და რეგიონულ რეიტინგში 2-2 ადგილით გაუარესდა.
- კორუფციის არარსებობის კრიტერიუმში 2012-2020 წლების შეფასებებს შორის საქართველოს ყველაზე ცუდი შეფასება 2020 წელს აქვს. მიუხედავად ამისა, რეგიონულ რეიტინგში ის კვლავ პირველ პოზიციას ინარჩუნებს. თუმცა, გლობალურ რეიტინგში მისი პოზიცია 3 ადგილით გაუარესდა.
- კანონის უზენაესობის გლობალური ინდექსით 2020 წელს ყველაზე დაბალი შეფასება საკანონმდებლო ორგანოში კორუფციის არარსებობის ინდიკატორმა მიიღო.
- ფუნდამენტური უფლებების დაცვის კრიტერიუმში საქართველოს მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით 0,01 ქულით გაუარესებულია. ყველაზე მაღალი შეფასება სიცოცხლისა და უსაფრთხოების უფლებას აქვს.
- ფუნდამენტური უფლებების დაცვის კუთხით პრობლემად რჩება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და დასაქმებულთა უფლებების მიმართულებები, რომელთაგანაც ეს უკანასკნელი მნიშვნელოვნად გაუარესებულია.
- ღია მმართველობის ინდიკატორებს შორის საქართველოს ყველაზე მაღალი შეფასება ინფორმაციის თავისუფლების და სამოქალაქო ჩართულობის მიმართულებით აქვს, თუმცა, წინა წლებთან შედარებით ამ მიმართულებებით მდგომარეობა გაუარესებულია.
- საქართველომ ღია მმართველობის კრიტერიუმში ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე დაბალი შეფასება 2020 წელს მიიღო და 2017-2018 წლის

მაჩვენებელს გაუტოლდა. წინა წელთან შედარებით, საქართველოს პოზიცია გლობალურ რეიტინგში 2 ადგილით გაუარესდა.

- სარეგულაციო აღსრულების მიმართულებით საქართველოს შეფასება წინა წელთან შედარებით გაუმჯობესდა, თუმცა ის 2017-2018 წლებში მიღებულ შეფასებას კვლავ ჩამოუვარდება. ყველაზე პრობლემურ მიმართულებებს პროცესის დაუსაბუთებელი გაჭიანურების არარსებობა და სამართლიანი ადმინისტრაციული პროცესის უზრუნველყოფა წარმოადგენს.
- მთავრობის ძალაუფლების შეზღუდვის კუთხით 2020 წელს საქართველომ წინა წელთან შედარებით 0,02 ქულით დაბალი შეფასება მიიღო. გლობალურ რეიტინგში საქართველოს პოზიციამ 7 ადგილით უკან გადაინაცვლა. თუმცა, რეგიონულ რეიტინგში ის კვლავ პირველ პოზიციას ინარჩუნებს.
- მთავრობის ძალაუფლების შეზღუდვის ექვსივე ინდიკატორის მდგომარეობა წინა წლებთან შედარებით მკვეთრად გაუარესებულია.
- სამოქალაქო მართლმსაჯულების კრიტერიუმში წინა წლებით შედარებით საქართველოს 2020 წელს ყველაზე დაბალი შეფასება აქვს. ყველაზე პრობლემურ მიმართულებას პროცესის დაუსაბუთებელი გაჭიანურება წარმოადგენს. რეგიონულ რეიტინგში საქართველომ პირველი პოზიციიდან (2015 წლის მდგომარეობით) მე-6 პოზიციაზე გადაინაცვლა.
- სისხლის სამართლის მართლმსაჯულება სხვა კრიტერიუმებთან შედარებით ყველაზე დაბალი ქულით არის შეფასებული. თუმცა, წინა წლებთან შედარებით მდგომარეობა გაუარესებული არ არის. აღნიშნული კრიტერიუმი უკანასკნელი 6 წლის განმავლობაში სტაბილურად დაბალ შეფასებებს იღებს.

## შესავალი

„მსოფლიოს სამართლის პროექტი“<sup>1</sup> (World Justice Project) განმარტებით, კანონის უზენაესობა წარმოადგენს კანონმდებლობის, ინსტიტუტების, წესებისა და საზოგადოების ვალდებულებების მტკიცე სისტემას, რომელიც აერთიანებს ანგარიშვალდებულების, განჭვრეტადი/ზუსტი კანონმდებლობის, ღია მმართველობის და ხელმისაწვდომი მართლმსაჯულების პრინციპებს. აღნიშნული ოთხი პრინციპი გამოხატულებას პოვებს კანონის უზენაესობის გლობალური ინდექსის საშუალებით, რომელიც მოიცავს 8 კრიტერიუმს და ყოველწლიურად ქვეყნდება.<sup>2</sup> ამ კრიტერიუმების მეშვეობით ფასდება სახელმწიფოების მდგომარეობა კანონის უზენაესობის კუთხით.

„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ დიდი ხანია აკვირდება საქართველოსთან მიმართებით „მსოფლიო სამართლის პროექტის“ კანონის უზენაესობის გლობალური ინდექსის შეფასებებს. 2017-2018 წლის მდგომარეობით, წინა წლებთან შედარებით კანონის უზენაესობა საქართველოში მკვეთრად გაუარესებული იყო.<sup>3</sup>

<sup>1</sup> <https://worldjusticeproject.org/>

<sup>2</sup> World Justice Project, "What is Rule of Law?" ხელმისაწვდომია: <https://worldjusticeproject.org/about-us/overview/what-rule-law> (last accessed: 16.03.2020).

<sup>3</sup> IDFI, „საქართველო კანონის უზენაესობის გლობალურ ინდექსში“, ხელმისაწვდომია ბმულზე: [https://idfi.ge/ge/world\\_justice\\_project\\_georgia?fbclid=IwAR3L3q5hIrKt\\_F5ItJNPSBclnb9MHkmemcusG3glNRM8CDINUMPOV7JxIQU](https://idfi.ge/ge/world_justice_project_georgia?fbclid=IwAR3L3q5hIrKt_F5ItJNPSBclnb9MHkmemcusG3glNRM8CDINUMPOV7JxIQU) (წვდომის თარიღი: 16.03.2020).

მოცემული ნაშრომის მიზანია საქართველოში კანონის უზენაესობის გლობალური ინდექსის მაჩვენებლების განხილვა 2020 წლის მდგომარეობით, მისი შედარება წინა წლების მაჩვენებლებთან, არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება, პრობლემური მიმართულებების გამოვლენა და იმ ტენდენციების ჩვენება, რომელიც კანონის უზენაესობის გლობალური ინდექსით შეფასების შედეგად გახდა შესაძლებელი.

## კანონის უზენაესობის ინდექსის მეთოდოლოგია

„მსოფლიო სამართლის პროექტმა“ კანონის უზენაესობის გლობალური ინდექსის განსასაზღვრად, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მოღვაწე აკადემიკოსებთან, პრაქტიკოსებთან, ლიდერებთან კონსულტაციების შედეგად, განავითარა კონცეპტუალური ჩარჩო, რომელიც მოიცავს 8 კრიტერიუმსა და კრიტერიუმების შესაბამის 44 ინდიკატორს. 2020 წლის შეფასება ეფუძნება 128 ქვეყანაში მოსახლეობისა და 4000-ზე მეტი ექსპერტისა და პრაქტიკოსი იურისტის გამოკითხვის შედეგებს, სადაც გამოხატულია ქვეყანაში კანონის უზენაესობის მდგომარეობასთან დაკავშირებული საზოგადოების აღქმები და გამოცდილება. ინდექსის თითოეული ქულა გამოითვლება ორი სახის მონაცემიდან: მოსახლეობის საყოველთაო გამოკითხვის (GPP) შედეგებიდან და კვალიფიციური რესპოდენტების გამოკითხვის (QRQ) ანკეტებიდან.

2020 წლის კანონის უზენაესობის გლობალური ინდექსის ანგარიშის შესადგენად გამოყენებულ იქნა მოსახლეობის საყოველთაო გამოკითხვის 2019 (10 ქვეყანასთან მიმართებით), 2018 (70 ქვეყანასთან მიმართებით), 2017 (45 ქვეყანასთან მიმართებით), 2016 (4 ქვეყანასთან მიმართებით), 2014 (სამ ქვეყანასთან მიმართებით), 2012 (1 ქვეყანასთან მიმართებით) და 2011 (1 ქვეყანასთან მიმართებით) წლების შედეგები. საქართველოს შესაფასებლად გამოყენებულ იქნა 2017 წლის გამოკითხვის შედეგები. კვალიფიციური რესპოდენტების გამოკითხვა (QRQ) კი ტარდება ყოველწლიურად, საკონსტიტუციო, სამოქალაქო, სავაჭრო, სისხლისა და შრომის სამართალში, ჯანდაცვასა და სამოქალაქო თავისუფლებების სფეროში მოღვაწე აკადემიკოსებსა და პრაქტიკოსებთან. 2020 წლის ინდექსის განსასაზღვრი მონაცემები შეგროვდა 2019 წლის მაისიდან ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში.<sup>4</sup>

მონაცემების შეგროვების შედეგად, თითოეული კრიტერიუმსა და მის შესაბამის ინდიკატორებს ენიჭებათ შესაბამისი ქულა 0-დან 1-ის ჩათვლით. რაც უფრო მაღალია ქულა, მით უკეთესი მდგომარეობაა კანონის უზენაესობის თვალსაზრისით ქვეყანაში. ამასთან, დგება გლობალური და რეგიონული რეიტინგი. საქართველო შესულია აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში, რომელიც მოიცავს შემდეგ სახელმწიფოებს: საქართველო, კოსოვო, ჩრდილოეთ მაკედონია, ყაზახეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ბელარუსი, უკრაინა, სერბეთი, ალბანეთი, მოლდოვა, ყაზახეთი, უზბეკეთი, რუსეთი და თურქეთი.

კანონის უზენაესობის გლობალური ინდექსით ფასდება რვა კრიტერიუმი: მთავრობის ძალაუფლების შეზღუდვა, კორუფციის არარსებობა, ღია მმართველობა, ფუნდამენტური

<sup>4</sup> მეთოდოლოგიის უფრო დეტალური მიმოხილვა ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://worldjusticeproject.org/sites/default/files/documents/2020%20Behind%20the%20Numbers.pdf> (last accessed: 26.03.2020).

უფლებების დაცვა, წესრიგი და უსაფრთხოება, სარეგულაციო აღსრულება, სამოქალაქო მართლმსაჯულება და სისხლის სამართლის მართლმსაჯულება. თითოეული კრიტერიუმის ქულა ეფუძნება მისი შესაბამისი ინდიკატორების შეფასებას. აღნიშნული ინდიკატორებია:

**მთავრობის ძალაუფლების შეზღუდვა** (1-ლი კრიტერიუმი) - საკანონმდებლო ორგანო, სასამართლო, დამოუკიდებელი აუდიტი ეფექტურად ზღუდავს მთავრობის ძალაუფლებას, თანამდებობის პირებს სანქციები ეკისრებათ გადაცდომებისთვის, მთავრობა ექვემდებარება არასამთავრობო სექტორის კონტროლს, ხელისუფლება იცვლება კანონის შესაბამისად (6 ინდიკატორი).

**კორუფციის არარსებობა** (მე-2 კრიტერიუმი) - კორუფციის არარსებობა აღმასრულებელ, საკანონმდებლო, სასამართლო, საპოლიციო/სამხედრო და საკანონმდებლო ორგანოებში (4 ინდიკატორი).

**ღია მმართველობა** (მე-3 კრიტერიუმი) - სამართლებრივი აქტებისა და საჯარო მონაცემთა გამოქვეყნება, ინფორმაციის თავისუფლება, სამოქალაქო ჩართულობა, გასაჩივრების მექანიზმები (4 ინდიკატორი).

**ფუნდამენტური უფლებები** (მე-4 კრიტერიუმი) - დაცულია დისკრიმინაციის დაუშვებლობის, სიცოცხლისა და უსაფრთხოების, სამართლიანი სასამართლოს უფლებები, გამოხატვის თავისუფლება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, შეკრების თავისუფლება, რელიგიის თავისუფლება და დასაქმებულთა უფლებები (8 ინდიკატორი).

**წესრიგი და უსაფრთხოება** (მე-5 კრიტერიუმი) - დანაშაულის, სამოქალაქო დაპირისპირებისა და საზოგადოების მხრიდან ძალადობის გამოყენების პრაქტიკის არარსებობა (3 ინდიკატორი).

**სარეგულაციო აღსრულება** (მე-6 კრიტერიუმი) - ეფექტური სარეგულაციო აღსრულება, არამართლზომიერი ზეგავლენის არარსებობა, ადმინისტრაციული პროცესის დაუსაბუთებელი გაჭიანურების არარსებობა, სამართლიანი პროცესის უზრუნველყოფა, შესაბამისი კომპენსაციის გარეშე ექსპროპრიაციის არარსებობა (5 ინდიკატორი).


**სამოქალაქო მართლმსაჯულება** (მე-7 კრიტერიუმი) - მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა (ფიზიკური და ფინანსური), დისკრიმინაციის არარსებობა, კორუფციის არარსებობა, აღმასრულებელი ხელისუფლების გავლენის არარსებობა, პროცესის დაუსაბუთებელი გაჭიანურების არარსებობა, ეფექტური აღსრულება, ეფექტური და მიუკერძოებელი დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმები (7 ინდიკატორი).

**სისხლის სამართლის მართლმსაჯულება** (მე-8 კრიტერიუმი) - ეფექტური გამოძიება, დროული და ეფექტური მართლმსაჯულება, ეფექტური პრობაციის სისტემა, დისკრიმინაციის არარსებობა, აღმასრულებელი ხელისუფლების გავლენის არარსებობა, სამართლიანი სასამართლო პროცესი (7 ინდიკატორი).

## საქართველო კანონის უზენაესობის 2020 წლის ინდექსი

კანონის უზენაესობის გლობალური ინდექსით საქართველოში კანონის უზენაესობა 0.60 ქულით შეფასდა.<sup>5</sup> ამ მაჩვენებლით საქართველო 42-ე ადგილს იკავებს 128 ქვეყანას შორის. 2017-2019 წლებში საქართველოში კანონის უზენაესობა 0.61 ქულით იყო შეფასებული. 2019 წელს ქვეყანა 41-ე ადგილს იკავებდა 126 ქვეყანას შორის. შესაბამისად, 2019 წელთან შედარებით საქართველოს მაჩვენებელი 0.1 ქულითა და 1 პოზიციით გაუარესდა.<sup>6</sup>

2012-2020 წლების პერიოდში კანონის უზენაესობის მდგომარეობას საქართველოში კანონის უზენაესობის გლობალური ინდექსით 2015-2016 წლებში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 0.65 ქულა ჰქონდა. მას შემდგომ კანონის უზენაესობის მაჩვენებელმა კლება დაიწყო, 2020 წლის მდგომარეობით 0,60 ქულაზე ჩამოვიდა და 2014 წლის მაჩვენებელს გაუტოლდა. ამ ქულით საქართველოს პოზიცია რეგიონულ და გლობალურ დონეზე საშუალოზე მაღალია.<sup>7</sup>



კანონის უზენაესობის ინდექსით შეფასებულ რვა კრიტერიუმს შორის 2020 წელს ყველაზე მაღალი შეფასება საქართველომ კვლავ წესრიგისა და უსაფრთხოების კომპონენტში აიღო და 0,79 ქულით შეფასდა. 2019 წლის მდგომარეობით, ამ კომპონენტში საქართველოს 0,78 ქულა ჰქონდა. შესაბამისად, წესრიგისა და უსაფრთხოების კრიტერიუმთან მიმართებით საქართველოს პოზიცია წინა წელთან შედარებით 0,01 ქულით გაუმჯობესდა.


სამოქალაქო მართლმსაჯულება, სისხლის სამართლის მართლმსაჯულება, მთავრობის ძალაუფლების შეზღუდვა, ღია მმართველობა და სარეგულაციო აღსრულება საქართველოში კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. მიუხედავად იმისა, რომ კორუფციის არარსებობის კრიტერიუმს ერთ-ერთი ყველაზე მაღალი შეფასება აქვს, შედარებით გაუარესებულია მისი მაჩვენებელი წინა წლებთან შედარებით. აღნიშნული კომპონენტი 0,68 ქულით არის შეფასებული.

<sup>5</sup> კანონის უზენაესობის გლობალური ინდექსი კანონის უზენაესობას 0-დან 1-მდე ქულებით აფასებს, რაც მეტია ქულა, მით მეტად არის დაცული კანონის უზენაესობა სახელმწიფოებში.

<sup>6</sup> აღნიშნული მონაცემები, ასევე, კანონის უზენაესობის გლობალური ინდექსით განსაზღვრული რვა კრიტერიუმისა და 44 ინდიკატორის მაჩვენებლები ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://worldjusticeproject.org/rule-of-law-index/country/Georgia?fbclid=IwAR2eLta112i5RBIECr8D8-0JcFciOwZMLIXsayadTW5CBI2H6SvEcLLgOrg> (წვდომის თარიღი: 24.03.2020).

<sup>7</sup> რეგიონული საშუალო ქულაა 0,51, ხოლო გლობალური საშუალო - 0.56.

## საქართველოს 2020 წლის მაჩვენებლები



### წესრიგი და უსაფრთხოება

კანონის უზენაესობის გლობალური ინდექსის მეხუთე კრიტერიუმს წარმოადგენს წესრიგი და უსაფრთხოება, რომელიც აფასებს კერძო პირებისა და საკუთრების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხარისხს. წესრიგი და უსაფრთხოება არის ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციის წინაპირობა, რის მიღწევასაც ემსახურება კანონის უზენაესობა. ეს კრიტერიუმი ითვალისწინებს სამ მიმართულებას, რომლებიც მოიცავს სხვადასხვა საფრთხეს ქვეყანაში წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის.<sup>8</sup> კერძოდ, ამ მიმართულებებით ფასდება დანაშაულის, სახელმწიფოებრივი ძალადობისა და საზოგადოების მიერ ძალადობრივი მეთოდების გამოყენების დონე. ინდიკატორებს წარმოადგენს დანაშაულის არარსებობა, სამოქალაქო კონფლიქტის არარსებობა და საზოგადოების მხრიდან ძალადობის გამოყენების თავიდან აცილება.


დანაშაულის არარსებობის ინდიკატორი ზომავს ხშირად ჩადენილი დანაშაულების გავრცელების დონეს, მათ შორის, მკვლელობის, გატაცების, ქურდობის, შეიარაღებული მარცვის და ფულის გამოძალვის, ასევე საზოგადოების მხრიდან უსაფრთხოების აღქმას. სამოქალაქო კონფლიქტის არარსებობის ინდიკატორით ფასდება შეიარაღებული კონფლიქტისა და ტერორიზმისგან საზოგადოების დაცულობის ხარისხი, ხოლო საზოგადოების მხრიდან ძალადობის გამოყენების თავიდან აცილების ინდიკატორი

<sup>8</sup> World Justice Project, Order and Security, Factor 5, <https://worldjusticeproject.org/our-work/wjp-rule-law-index/wjp-rule-law-index-2017%E2%80%932018/factors-rule-law/order-and-security-factor> (Last accessed: 18.03.2020);




ზომავს რამდენად მიმართავს საზოგადოება დავების გადაწყვეტისთვის ძალადობრივ მეთოდებს ან/და რამდენად დაცულია პირი სახალხო გასამართლებისგან.


კანონის უზენაესობის გლობალური ინდექსის მიხედვით საქართველოს ყველაზე მაღალი შეფასება სამოქალაქო კონფლიქტის არარსებობის მიმართულებით აქვს მიღებული. თუმცა, საზოგადოების მხრიდან ძალადობის გამოყენების თავიდან აცილების მაჩვენებელი 2017-2018 წლებში მიღებულ შეფასებასთან შედარებით გაუარესებულია 0,01 ქულით.



საქართველოში 2012-2020 წლებში წესრიგისა და უსაფრთხოების მაჩვენებელი ყველაზე მაღალი 2014 წელს იყო და მას მინიჭებული ჰქონდა 0,85 ქულა. მიუხედავად იმისა, რომ კანონის უზენაესობის გლობალური ინდექსის კრიტერიუმებს შორის წესრიგისა და უსაფრთხოებას ყველაზე მაღალი შეფასება აქვს, 2014 წლის შემდგომ ამ მაჩვენებელმა კლება დაიწყო და 2020 წლის მდგომარეობით მას 0,79 ქულა აქვს.



რაც შეეხება საქართველოს წესრიგისა და უსაფრთხოების ადგილს გლობალურ და რეგიონულ რეიტინგებში, 2020 წლის მდგომარეობით საქართველოს მე-6 ადგილი უკავია 14 ქვეყანას შორის რეგიონულ დონეზე, ხოლო 128 ქვეყანას შორის 35-ე ადგილი აქვს მინიჭებული გლობალურ დონეზე. ამდენად, ქვეყნის პოზიცია 2012-2013 წლებთან შედარებით მკვეთრად გაუარესებულია.






# კორუფციის არარსებობა

კორუფციის არარსებობის კრიტერიუმი აფასებს კორუფციის დონეს სახელმწიფო ორგანოებში. აღნიშნული კრიტერიუმით კორუფციად მიიჩნევა მექრთამეობა, ზეგავლენით ვაჭრობა და სახელმწიფო რესურსების უკანონო განკარგვა. კორუფციის ეს სახეები მოწმდება სასამართლო, ადმასრულებელ, საკანონმდებლო და სამხედრო/საპოლიციო ორგანოებში.<sup>9</sup>

ადმასრულებელი ხელისუფლების შეფასებისას მხედველობაში მიიღება მექრთამეობის სიხშირე, არაფორმალური გადახდები, სახელმწიფო შესყიდვების ღიაობა, სხვადასხვა თანამდებობის პირების მიერ სახელმწიფო ფინანსების მითვისება/გაფლანგვის შემთხვევები. სასამართლო სისტემის შემოწმებისას ფასდება სასამართლოში მექრთამეობის შემთხვევები და სასამართლო სისტემის ხელისუფლების, კრიმინალური დაჯგუფებების ან/და პირადი ინტერესების არასათანადო ზეგავლენისგან დაცულობა. საკანონმდებლო ორგანოსთან მიმართებით იზომება საკანონმდებლო ორგანოში ქრთამის აღების ან/და მიცემის შემთხვევები ხმათა ან პოლიტიკური მფარველობის სანაცვლოდ. რაც შეეხება სამხედრო/საპოლიციო ორგანოებს, ამ ინდიკატორით ფასდება ორგანოებში მექრთამეობა და კრიმინალური დაჯგუფებების ან პირადი ინტერესების გამო არასათანადო ზეგავლენის დონე.


კანონის უზენაესობის გლობალური ინდექსით ყველაზე დაბალი შეფასება საკანონმდებლო ორგანოში კორუფციის არარსებობის ინდიკატორმა მიიღო და ის 0,51 ქულით შეფასდა. კორუფციის არარსებობის დონე საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ქულით არის შეფასებული. თუმცა, წინა წლებთან შედარებით მდგომარეობა ყველა მიმართულებით გაუარესებულია.




კორუფციის არარსებობის კრიტერიუმში 2020 წლის გლობალური ინდექსით საქართველოს 0,68 ქულა აქვს მინიჭებული. 2012-2020 წლების მაჩვენებლებს შორის 2020 წლის შეფასება

<sup>9</sup> World Justice Project, Order and Security, Factor 2, <https://worldjusticeproject.org/our-work/wjp-rule-law-index/wjp-rule-law-index-2017%E2%80%932018/factors-rule-law/absence-corruption-factor> (last accessed: 18.03.2020)

ყველაზე დაბალია. წინა წელთან შედარებით აღნიშნული მაჩვენებელი 0,02 ქულით, ხოლო 2012 წელთან შედარებით 0,09 ქულით დაეცა.



საქართველო რეგიონულ რეიტინგში, აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის პირველ ადგილს ინარჩუნებს 2012 წლიდან. თუმცა, გლობალურ რეიტინგში საქართველოს ადგილი წინა წელთან შედარებით 3 პოზიციით გაუარესებულია.




## ფუნდამენტური უფლებების დაცვა


ფუნდამენტური უფლებების კრიტერიუმი აფასებს ფუნდამენტური უფლებების დაცულობის დონეს სახელმწიფოში. ადამიანის უფლებების ფართო სპექტრიდან გამომდინარე, რთულია ყველა უფლების ჭრილში ამ კრიტერიუმით გაზომვა. ამდენად, მსოფლიოს სამართლის პროექტი აფასებს მხოლოდ იმ უფლებების დაცულობას, რომელიც განსაზღვრულია ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაციით და შედარებით ახლოს დგას კანონის უზენაესობის გამოწვევებთან.<sup>10</sup> კერძოდ, ფუნდამენტური უფლებების კრიტერიუმი აფასებს დისკრიმინაციის არარსებობას, სიცოცხლისა და უსაფრთხოების, სამართლიანი სასამართლოს უფლებას, გამოხატვის, რელიგიის, შეკრების თავისუფლებას, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასა და დასაქმებულთა უფლებებს.

<sup>10</sup> World Justice Project, Fundamental Rights, Factor 4, <https://worldjusticeproject.org/our-work/wjp-rule-law-index/wjp-rule-law-index-2017%E2%80%932018/factors-rule-law/fundamental-rights-factor> (last accessed 18.03.2020).


კანონის უზენაესობის გლობალური ინდექსის 2020 წლის შეფასების მიხედვით, საქართველოში ყველაზე დაბალი შეფასება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასა და დასაქმებულთა უფლებებს აქვს. საშუალო ქულით არის შეფასებული დისკრიმინაციის არარსებობა, უფლება სამართლიან სასამართლოზე და რელიგიის თავისუფლება. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კი სიცოცხლისა და უსაფრთხოების უფლებას აქვს.



საქართველოს ფუნდამენტური უფლებების კრიტერიუმში 2020 წლის შეფასებით 0,61 ქულა აქვს მიღებული, რაც 2012-2013 და 2017-2018 წლებში მიღებული ქულის ტოლია. ყველაზე მაღალი ქულა ფუნდამენტური უფლებების დაცვაში საქართველოს 2016 წელს ჰქონდა, რის შემდეგაც მაჩვენებელი 0,61 ქულამდე დაეცა. თუმცა, 2019 წელს კვლავ მოიმატა 0,01 ქულით, 2020 წელს კვლავ 0,61 ქულას გაუთანაბრდა.



გლობალური მასშტაბით საქართველოს 48-ე ადგილი უკავია ფუნდამენტური უფლებების დაცვის კრიტერიუმში. ყველაზე კარგი პოზიცია ამ წლების განმავლობაში საქართველოს 2015 წელს ჰქონდა, თუმცა, თანდათანობით საქართველომ უკან გადაინაცვლა და 2012 წლის მაჩვენებელზე 1 პოზიციით წინ დგას 2019-2020 წლების შეფასებით. რაც შეეხება რეგიონულ რეიტინგს, ბოლო ორი წელია საქართველოს პირველ ადგილს იკავებს რეიტინგში.




## ღია მმართველობა

კანონის უზენაესობის გლობალური ინდექსის ღია მმართველობის კრიტერიუმში აფასებს სახელმწიფოს მიერ ინფორმაციის ღიაობის უზრუნველყოფას, საზოგადოების ხელისუფლების ანგარიშვალდებულების კონტროლის სათანადო მექანიზმებით აღჭურვასა და მოქალაქეების საჯარო განხილვებში მონაწილეობის ხელშეწყობის დონეს. ამ მიზნით ღია მმართველობის ინდიკატორები ზომავს ძირითადი კანონმდებლობისა და უფლებების საჯაროდ ხელმისაწვდომობას, პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაციის ხარისხს, საჯარო დაწესებულებების მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემას, სამოქალაქო ჩართულობის საშუალებებისა და ეფექტიანი გასაჩივრების მექანიზმების არსებობას.<sup>11</sup>


საქართველოს ღია მმართველობის ინდიკატორებს შორის ყველაზე მაღალი შეფასება ინფორმაციის თავისუფლების და სამოქალაქო ჩართულობის მიმართულებით აქვს, თუმცა, წინა წლებთან შედარებით ამ მიმართულებებით მდგომარეობა გაუარესებულია. სამართლებრივი აქტებისა და საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნების ინდიკატორს ყველაზე დაბალი - 0,51 ქულა აქვს მინიჭებული. მიუხედავად ამისა, 2017-2018 წლის შეფასებასთან შედარებით ეს მაჩვენებელი 0,03 ქულით გაუმჯობესებულია. გადაწყვეტილებათა

<sup>11</sup> World Justice Project, Open Government, Factor 3, <https://worldjusticeproject.org/our-work/wjp-rule-law-index/wjp-rule-law-index-2017%E2%80%932018/factors-rule-law/open-government-factor-3> (last accessed: 19.03.2020).

გასაჩივრების მექანიზმებს 2017-2018 წლებთან შედარებით უკეთესი, ხოლო 2019 წელთან შედარებით უფრო დაბალი მაჩვენებელი აქვს.<sup>12</sup>




კანონის უზენაესობის გლობალური ინდექსით საქართველოში ღია მმართველობის მდგომარეობა 2020 წელს 0,57 ქულით შეფასდა. აღნიშნული მაჩვენებელი გაუარესდა წინა წელთან შედარებით და გაუთანაბრდა 2017-2018 წლებში არსებულ მაჩვენებელს. ღია მმართველობის მიმართულებით საქართველოს ყველაზე მაღალი შეფასება 2016 წელს ჰქონდა.



რეგიონულ რეიტინგში საქართველო 2017-2018 წლებში ღია მმართველობის მიმართულებით მეორე ადგილზე იყო, თუმცა, 2019 წელს პირველ ადგილზე გადმოინაცვლა და 2020 წელსაც რეგიონულ რეიტინგში ამ პოზიციას ინარჩუნებს.

რაც შეეხება გლობალურ რეიტინგს, საქართველოს ყველაზე კარგი მაჩვენებელი 2015 წელს ჰქონდა და ის 29-ე ადგილს იკავებდა. თუმცა, მას შემდგომ საქართველოს პოზიციამ უკან გადაინაცვლა და 2020 წლის მდგომარეობით გლობალურ რეიტინგში 41-ე ადგილზეა.




<sup>12</sup> 2017-2018 წლებში გადაწყვეტილებათა გასაჩივრების მექანიზმებს 0,53, ხოლო 2019 წელს 0,57 ქულა ჰქონდა მინიჭებული.



## სარეგულაციო აღსრულება


სარეგულაციო აღსრულება წარმოადგენს კანონის უზენაესობის გლობალური ინდექსის მე-6 კრიტერიუმს და აფასებს რეგულაციების გატარებისა და აღსრულების ეფექტურობას. სარეგულაციო აღსრულების ინდიკატორებს წარმოადგენს რეგულაციების ეფექტური აღსრულება, რეგულაციების აღსრულების პროცესში არასათანადო ზეგავლენისა და ადმინისტრაციული პროცესის დაუსაბუთებელი გაჭიანურების არარსებობა, სამართლიანი ადმინისტრაციული პროცესის უზრუნველყოფა და სათანადო კომპენსაციის გარეშე ექსპროპრიაციის არარსებობა.<sup>13</sup>

საქართველოში მოცემულ მიმართულებებს შორის ყველაზე მაღალი შეფასება რეგულაციების აღსრულების პროცესში არასათანადო ზეგავლენის არარსებობამ მიიღო და 0,8 ქულით შეფასდა. ყველაზე პრობლემურ მიმართულებებს სარეგულაციო აღსრულების ნაწილში წარმოადგენს პროცესის დაუსაბუთებელი გაჭიანურების არარსებობა და სამართლიანი ადმინისტრაციული პროცესის უზრუნველყოფა.




კანონის უზენაესობის გლობალური ინდექსით საქართველოში სარეგულაციო აღსრულება 2020 წელს 0,57 ქულით შეფასდა. სარეგულაციო აღსრულების 2012-2020 წლის შეფასებებს შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2012-2013 წლებში დაფიქსირდა. 2014 წელს მაჩვენებელი მკვეთრად დაეცა, თუმცა, შემდგომი ორი წლის მაჩვენებლებით სარეგულაციო აღსრულების მდგომარეობა თითქმის გაუთანაბრდა 2012 წლის მაჩვენებელს. 2019 წელს სარეგულაციო აღსრულებას სხვა წლებთან შედარებით ყველაზე დაბალი - 0,56 ქულა ჰქონდა. 2020 წლის მაჩვენებელი გაუმჯობესებულია წინა წელთან შედარებით, თუმცა, კვლავ საგრძნობლად დაბალია 2012 წლის მაჩვენებელზე.

<sup>13</sup> World Justice Project, Regulatory Enforcement, Factor 6, <https://worldjusticeproject.org/our-work/wjp-rule-law-index/wjp-rule-law-index-2017%E2%80%932018/factors-rule-law/regulatory-enforcement> (last accessed: 19.03.2020).



საქართველო კანონის უზენაესობის გლობალური ინდექსის რეგიონულ რეიტინგში, აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალურ აზიის ქვეყნებს შორის 2012 წლიდან სტაბილურად ინარჩუნებს პირველ პოზიციას. თუმცა, გლობალურ რეიტინგში საქართველოს პოზიცია მკვეთრად გაუარესებულია 2012-2015 წლებთან შედარებით. 2020 წლის შეფასებით, 2019 წელთან შედარებით საქართველომ ერთი ადგილით წინ გადაინაცვლა, თუმცა, მკვეთრ გაუარესებას ჰქონდა ადგილი 2019 წელს, როცა საქართველოს პოზიცია 7 ადგილით გაუარესდა.<sup>14</sup>



## მთავრობის ძალაუფლების შეზღუდვა

მთავრობის ძალაუფლების შეზღუდვის კრიტერიუმი ზომავს მმართველი პირების კანონის წინაშე ვალდებულების ხარისხს. შეფასებისას მხედველობაში მიიღება კონსტიტუციური და ინსტიტუციური მექანიზმები, რომელთა საშუალებითაც მმართველი პირები კანონის ფარგლებში შეზღუდულნი და ანგარიშვალდებულნი არიან. ამასთან, აღნიშნული კრიტერიუმი მოიცავს სხვა საშუალებებს, რომლითაც ხელისუფლების კონტროლი არის შესაძლებელი, მათ შორის, თავისუფალი და დამოუკიდებელი მედიის არსებობას. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, არსებული კრიტერიუმი აფასებს რამდენად არის ძალაუფლება გადანაწილებული იმგვარად, რომ არც ერთ სახელისუფლებო ორგანოს არ ჰქონდეს


<sup>14</sup> გათვალისწინებულია 2017-2018 წლებსა და 2019 წელს შორის შეფასებული ქვეყნების რაოდენობის ცვლილებაც.




ფაქტობრივი შესაძლებლობა განახორციელოს უფლებამოსილება საზოგადოების მხრიდან კონტროლის გარეშე.<sup>15</sup>

მთავრობის ძალაუფლების შეზღუდვის კრიტერიუმი მოიცავს საკანონმდებლო და სასამართლო კონტროლის, დამოუკიდებელი აუდიტის, თანამდებობის პირთა გადაცდომებისთვის სანქციების, არასამთავრობო სექტორის მხრიდან კონტროლისა და ხელისუფლების კანონისმიერი ცვლილების ინდიკატორებს.

2020 წლის შეფასებით, მთავრობის ძალაუფლების შეზღუდვის ექვსივე ინდიკატორის მდგომარეობა წინა წლებთან შედარებით მკვეთრად გაუარესებულია. ყველაზე დაბალი შეფასება - 0,42 ქულა თანამდებობის პირთა გადაცდომებისთვის სანქციების მიმართულებას აქვს.




კანონის უზენაესობის გლობალური ინდექსით საქართველოს 2020 წელს მთავრობის ძალაუფლების შეზღუდვის კრიტერიუმი 0,55 ქულით შეფასდა. წინა წლებთან შედარებით ეს მაჩვენებელი 0,02 ქულით არის გაუარესებული. საქართველოში ყველაზე მაღალი შეფასება მთავრობის ძალაუფლების კრიტერიუმმა 2015-2016 წლებში მიიღო, რის შემდეგაც ეს მაჩვენებელი მკვეთრად დაეცა.



აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში მთავრობის ძალაუფლების შეზღუდვის კრიტერიუმში საქართველო მოწინავე პოზიციას იკავებს 2015 წლიდან. ეს მაჩვენებელი არც 2020 წელს შეცვლილა. რაც შეეხება გლობალურ რეიტინგს, საქართველოს ყველაზე მაღალი პოზიცია 2015 წელს ჰქონდა, რის შემდეგაც თანდათანობით უკან

<sup>15</sup> World Justice Project, Constraints on Government Powers, Factor 1, <https://worldjusticeproject.org/our-work/wjp-rule-law-index/wjp-rule-law-index-2017%E2%80%932018/factors-rule-law/constraints-government> (last accessed: 19.03.2020)


გადანაცვლა. სამწუხაროდ, 2020 წლის შეფასებით, საქართველოს მაჩვენებელი 7 პოზიციით გაუარესდა და ის 128 ქვეყანას შორის 61-ე ადგილს იკავებს.



## სამოქალაქო მართლმსაჯულება


სამოქალაქო მართლმსაჯულების კრიტერიუმი აფასებს მოქალაქეების შესაძლებლობას მოაგვარონ დავები მშვიდობიანად, სასამართლოსთვის მიმართვის გზით. ეფექტიანი სამოქალაქო მართლმსაჯულების უზრუნველყოფა მოიცავს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის (ფიზიკური და ფინანსური), დისკრიმინაციისგან, კორუფციისგან, არასათანადო ზეგავლენისგან თავისუფალი სასამართლოს, საქმეთა დროულად, გაჭიანურების გარეშე განხილვის, ეფექტური აღსრულების, ხელმისაწვდომ, მიუკერძოებელ და ეფექტიან, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ინდიკატორებს.<sup>16</sup>

საქართველოს 2020 წლის შეფასებით, სამოქალაქო მართლმსაჯულების ინდიკატორებს შორის, ეფექტური და მიუკერძოებელი ალტერნატიული გადაწყვეტილების მექანიზმები ყველაზე მაღალი ქულით არის შეფასებული. თუმცა, პრობლემურ მიმართულებებად რჩება პროცესის დაუსაბუთებელი გაჭიანურება და აღმასრულებელი ხელისუფლების გავლენის არასებობა, რომელთაც ძალიან დაბალი შეფასებები აქვს მიღებული.




<sup>16</sup> World Justice Project, Civil Justice, Factor 7, <https://worldjusticeproject.org/our-work/wjp-rule-law-index/wjp-rule-law-index-2017%E2%80%932018/factors-rule-law/civil-justice-factor-7> (last accessed: 19.03.2020)

კანონის უზენაესობის გლობალური ინდექსის შეფასების თანახმად, საქართველოს სამოქალაქო მართლმსაჯულება წინა წელთან შედარებით 0,01 ქულით არის გაუარესებული. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი საქართველოს 2015 წელს ჰქონდა, რის შემდეგაც მაჩვენებელმა დაცემა დაიწყო. საქართველომ 2020 წელს ბოლო 9 წლის მანძილზე ყველაზე დაბალი შეფასება აიღო.



კანონის უზენაესობის გლობალური ინდექსის მიხედვით, საქართველოს სამოქალაქო მართლმსაჯულების კრიტერიუმის რეგიონულ რეიტინგში მკვეთრი გაუარესება აქვს. საქართველო პირველ პოზიციას აღნიშნულ რეიტინგში 2015 წელს იკავებდა. 2020 წლის მდგომარეობით, მას 14 ქვეყანას შორის მე-6 ადგილი აქვს დაკავებული. საქართველოში სამოქალაქო მართლმსაჯულების მდგომარეობა არსებითად გაუარესდა გლობალურ რეიტინგშიც. 2020 წლის შეფასებით, საქართველო 67-ე ადგილს იკავებს 128 ქვეყანას შორის. საქართველოს პოზიციამ წინა წელთან შედარებით 5 ადგილით უკან გადაინაცვლა. ყველაზე კარგი პოზიცია საქართველოს 2015 წელს ჰქონდა. მაშინ ის გლობალურ რეიტინგში 36-ე ადგილს იკავებდა.






## სისხლის სამართლის მართლმსაჯულება

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების კრიტერიუმი აფასებს მთლიანად სისხლის სამართლის სისტემას. აღნიშნული კრიტერიუმი მოიცავს ეფექტური და დროული გამოძიების, ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების, ეფექტური პრობაციის სისტემის, დისკრიმინაციისა და კორუფციის არარსებობის, აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან ზეგავლენის არარსებობის და სამართლიანი სასამართლო პროცესის მიმართულებებს. ასევე, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების კრიტერიუმით შეფასებისას მხედველობაში მიიღება მთლიანი სისტემა, მათ შორის, ფასდება პოლიცია, ბრალდების მხარე, მოსამართლეები და სასჯელაღსრულებითი დაწესებულების თანამშრომლები.<sup>17</sup>


საქართველოს კანონის უზენაესობის გლობალური ინდექსით სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ინდიკატორებს შორის, კორუფციის არარსებობისა და აღმასრულებელი ხელისუფლების ზეგავლენის არარსებობის გარდა, ყველა მიმართულებით მდგომარეობა გაუმჯობესებულია. რაც შეეხება კორუფციის არარსებობას, ის 2017-2018 წლებთან შედარებით 0,01 ქულით გაუარესებულია. ყველაზე პრობლემურ მიმართულებას წარმოადგენს აღმასრულებელი ხელისუფლების ზეგავლენის არარსებობა, რომელსაც ყველაზე დაბალი - 0.27 ქულა აქვს. ამასთან, 2017-2018 წლების შეფასებასთან შედარებით, მისი ქულა საგრძნობლად გაუარესებულია.<sup>18</sup>




<sup>17</sup> World Justice Project, Criminal Justice, Factor 8, <https://worldjusticeproject.org/our-work/wjp-rule-law-index/wjp-rule-law-index-2017%E2%80%932018/factors-rule-law/criminal-justice-factor-8> (last accessed: 20.03.2020)

<sup>18</sup> 2017-2018 წლებში აღნიშნული ინდიკატორი 0,35, ხოლო 2019 წელს 0,28 ქულით იყო შეფასებული.

2020 წლის შეფასებით, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების კრიტერიუმი 0,52 ქულით არის შეფასებული. ყველაზე მაღალი შეფასება მას 2012-2013 წლებში ჰქონდა. მას შემდეგ შეფასება მკვეთრად დაეცა. სამწუხაროდ, წინა წელთან შედარებით მდგომარეობა გაუმჯობესებული არ არის და ის მხოლოდ 0,01 ქულით აღემატება 2012-2020 წლებში მიღებულ ყველაზე დაბალ მაჩვენებელს.



კანონის უზენაესობის გლობალური ინდექსის რეგიონულ რეიტინგში, აღმოსავლეთ ევროპებისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის, საქართველო ბოლო ორი წელია პირველ ადგილს იკავებს. რაც შეეხება გლობალური რეიტინგს, საქართველო 46-ე ადგილზეა 128 ქვეყანას შორის. ქვეყანას მოწინავე პოზიცია 2012-2013 წლებში ეკავა, როცა ის რეიტინგში 25-ე ადგილს იკავებდა. მას შემდეგ მისი პოზიცია სტაბილურად გაუარესებულია.



## დასკვნა

„მსოფლიო სამართლის პროექტის“ კანონის უზენაესობის გლობალური ინდექსი წარმოადგენს მონაცემთა ბაზას, რომელიც მთელს მსოფლიოში ძირითადი წყაროა სხვადასხვა ქვეყნებში კანონის უზენაესობის მდგომარეობის გასაცნობად. ინდექსი ეფუძნება სამართლებრივ ექსპერტებთან, საზოგადოებასთან, პრაქტიკოს იურისტებთან განხორციელებულ კვლევებს და სანდო წყაროს წარმოადგენს მრავალი ორგანიზაციისა თუ ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. ინდექსის საშუალებით შესაძლებელი ხდება ქვეყნის მნიშვნელოვანი გამოწვევების იდენტიფიცირება.

„მსოფლიო სამართლის პროექტის“ კანონის უზენაესობის გლობალური ინდექსის 2020 წლის მონაცემებით, საქართველოში ვითარება მრავალი მიმართულებით გაუარესდა. განსაკუთრებით პრობლემური კორუფციის არარსებობის დონის ცვლილებაა. კორუფციის არარსებობის ინდიკატორით საქართველოს მდგომარეობა წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად გაუარესებულია და 2017-2018 წლებთან შედარებით 0,03 ქულით ნაკლები შეფასება აქვს მიღებული.

2012-2020 წლების პერიოდში საქართველო ყველაზე დაბალ ქულებს იღებს მთავრობის ძალაუფლების შეზღუდვის, სამოქალაქო მართლმსაჯულებისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების კრიტერიუმებში. მთავრობის ძალაუფლების შეზღუდვის მაჩვენებელი 2019 წელს მიღებულ შეფასებასთან შედარებით 0,02 ქულით გაუარესებულია. სისხლისა და სამოქალაქო სამართლის მართლმსაჯულების მაჩვენებლები კი წლებია სტაბილურად ყველაზე დაბალ შეფასებას იღებენ.

ღია მმართველობის კრიტერიუმში საქართველოს მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით გაუარესდა და ის 2017-2018 წლების შეფასებას გაუტოლდა.

8 კრიტერიუმს შორის, 2019 წელთან შედარებით გაუმჯობესება მხოლოდ წესრიგისა და უსაფრთხოების და სარეგულაციო აღსრულების კრიტერიუმებს აქვთ, თუმცა, თუ მათ 2017-2018 წლების შეფასებებს შევადარებთ, დავინახავთ, რომ მათი მაჩვენებლები ამ წლებში მიღებული შეფასებებზე ნაკლები ან ტოლია.

კანონის უზენაესობის გლობალურ ინდექსით, 2020 წელს საქართველომ ყველაზე დაბალი შეფასება, 0,6 ქულა მიიღო და წინა წელთან შედარებით 0,01 ქულით გაუარესდა. მსგავსი შეფასება ჰქონდა საქართველოს 2014 წელსაც.

სამწუხაროდ, საქართველომ 2020 წლის შეფასებით უკან დაიხია თითქმის ყველა მიმართულებით. ვიმედოვნებთ, რომ არსებული უკუსვლა შეჩერდება და საქართველო დაიწყებს იდენტიფიცირებული გამოწვევების აღმოფხვრაზე მუშაობას, რის შედეგადაც ქვეყნაში კანონის უზენაესობის მდგომარეობა გაუმჯობესდება.